

# სახალხო გაზეტი

სუკათეხიანი დამატება

გაზეთის № 170.

კვირა, 28 ნოემბერი 1910 წ.

დამატების № 29

## ღ ე ღ ა ს



მუხამბი. — სურათი ლეონარდო და ვინჩისა.

ჩემს ბნელს ციხეში მოულოდნელად  
მეწვია დედა მოხუცებული,  
დღიდან ყრმობისა აღარ მიგვრძნია  
ასე მშობლის მე სიყვარული.

დღიდან ყრმობისა, როს ცივ-გომბორის  
მთისა კალთებზე დაწვავარდობდი,  
ხან მოქანცული დედისა მუხლზე  
თავს მივაყრდობდი, მასთან ვლალდობდი!

ასე ქურციკის ხტომა, ნაფარდი  
კონცხილამ კონცხზე ბევრჯელ მინახავს,  
მოუკლავს ერთი და დედის ყელზე  
მოქანცულს ყელი გადაუხლარდავს.

ეჰ, გაჭკრა ის დრო, საამო სიზმარს  
კავასიონის წვერვალზე სძინავს,  
აწ სხვა ღრუბელი თავს მახვევია,  
სხვა ქარიშხალი ღრიალებს, გმინავს.

მას ასდევს ჩემი ბედის ხომალდიც,  
ხან ქვესკნელშია, ხან აღმა აღის,  
მან უკუ აგლო თვის ნავთსადგური,  
ტალღებზე მიჰქრის, ზვირთზე გადადის!

და ამ ტკბილ-მწარე წუთებ-წამებში  
დღეს კვლავ მომესმა დედის ნაზი ხმა,  
შეგვრთი, ვშიშობდი რკინის კუბოში  
არ დამიტრონ მისმა თვალებმა,

მაგრამ მშობლის გულს, თვისა გამწარებულს,  
თურმე წამალი არ ესწავლება,  
და ის ერთია, რომ ჩვენ ნაღველ-წყულულს  
თვისად მიიღებს და მიუხვდება.

„ნუგეში მტირალს, შენ ეს არ გინდა,—  
მომესმა უცებ, და ამათროლა,  
ვინც საფლავშია ცოცხლად ჩავიდა,  
მას იქაც ჰმართებს ბრძოლა და ბრძოლა!“

აი ანდერძი, რომელსაც ხშირად  
ამიერიდან ვუიღერებ ციხეს,  
მას ჩემი ბედის გულზე ამოვქრი,  
მას დავაწერავ მე ჩემს სიციცხლეს!

ი. ევლოშვილი.





დაკარგული სამოსხა-1

# სურათები

I.

მთების მწვერვალთ მოხვდა სხივი ბარს გრძნეულად გაეცინა, ნამი კრთის, ვით ვერცხლის მძივი, სიომ ბუჩქებს შესისინა, ყვაფილთ უძღუნა კოცნა ცივი განთიადი აგრძნობინა, ბუნების ქნარს, მინაცივი სიმი კვალად აკრთობინა.

ტყე იღუმლად აშრიალდა, აშრიალდა გულ-მწუხარი, მთის ნიაფა წარიტაცა, მწუხრის ბინდი, ფიქრთა ჯარი, ცის ეთერშა შესრიალდა აღმა-მფრენა ფრთა-მედგარი, სიცოცხლე კვლავ ატკრიალდა, გრძნებით იწყო კვლავ ნარნარი.

თხემს მოსცილდა ღამის ჟანგი, გრძნეულ ძალით გადაკრული, გაცამტვერდა ღრუბელთ გუნდი, ტანჯვის ნიშნად დასახული, გულ-წარმტაცად შეკრთა ჩანგი, მზეს სწვდა ჰიმნი ნარნარსრული, მას თან აჰყვა მიწის ჰანგი, მას თან აჰყვა სიყვარული!

II.

ბინდმა დაჰკრა, არე-მარეს შავი ჩადრი გადეფარა, მყის სამშობლოს გულ-მწუხარეს უკვდავება გაეყარა, დაჰკრეს სიმებს მგლოვიარეს, სევდით სივრცე დაიცარა, ველარა ვკვრეტთ მზეს ელვარეს, მოკვდა... ჩუმად გაიპარა. ბოროტების ფლიდი ღმერთი დაეუფლა ცხოვრების ველს, კაცთ სიკეთის რისხვით მკვეთი ნძლავრად იქნევს სიკვდილის ცელს,

იდვალი, შემაერთი მისცა უბსკრულს დამამხობელს, შავნი შვილნი უკუნეთის ჰგალობენ ტკილ საგალობელს, წაიხარა ხსნის ეშბლემა, ბრძოლის ხმები ჩაიძირა, ბოროტების ბასრ მახვილით ბევრი, ბევრი გაიგმირა გულის სატრფომ და მშობელმა მკვდარიც ვეღარ დაიტირა, მღუმარეა ცხოვრების მთა... გატყდა ჩანგი... გაცვდა წკირა!

II.

ნანგრევთ შორის, სადაც მარად სუსხიანი ქარნი ჰქრიან, სადაც უხმოდ და მღუმარად ღღე-ღამეს სცვლის, წელნი

რბიან, ხმალი ელავს გაუმცლარად... ქეჭა ისმის... ცეცხლსა ჰყრიან, ჩუ! გმირის ხმა კვლავ გაისმის—მის გარშემო თავს იყრიან. ვინ არს იგი?—ამირანი მთის ფერდობზე მიჯაჭვული, ქვეყნის ხსნისთვის არყევს პალოს დიად მიზნით გამსკვალული, სურს აქ, მზეზე ამოზიდოს უკვდავების აწ უბსკრული, მოსვენებას აღარ აძლევს იდვალის სიყვარული. თუმც ღღეს ტყვეა, მაგრამ მაინც ვეღარ იკლავს სწრაფვას დიადს, ყველა ჩაგრულთ თვისკენ უბჰობს, გრძნობით უმხელს თვის ხეაშიადს, ჰქუხს და გრგვინავს, ძალსა უკრთობს რისხვის ღმერთსა იმ გულ ზვიადს, მტერს აწ მიზანს არ დაუთმობს... ელის... ელის ხსნის განთიადს!..

ნ. ჩხიკვაძე.

# გალემონტნიდან

დავტოვე მიწა, შფოთიანი, მოუსვენარი, ვპოვე სავანე სიწმინდისა, ბედნიერებას. მუნ ავაშენე კოშკი ჩემი ნაზ-სხივოსანი, ნაზ სხივოსანი სრა-სასახლე მშენიერების.

და ვით კუნძულსა, მოტივტივეს ამაყ ტალღებზე, მუდამ თანა სდევს ქართა ქროლვადა ღელვა ზღვისა, ეგრედ თანა მდევს მეც სიამე დამათრობელი, დამათრობელი უქალღერსი ცის ვარსკვლავისა.

აქ ჩემში არის მთელის ქვეყნის ნიჭი, გენია, ლევა ღრუბელი ძმურ ჯურჯულით ჩემს გარსა ფრინავს და მნათობთ გუნდი საოცნებო სალაშის ნიშნად, სალაშის ნიშნად განუქრობლად ბრწყინავს და ბრწყინავს.


შორით ვმზერ მთებსა, ვმზერ გაუვალ და ყრუადგილებს, მაგრამ რას დავსდევ ხალხის ჩოჩქოლს, მის ღრიანცელსა, როს ჩემს ტაძარში ასვენია სულ სხვა ხატები და ეს ხატები მანიჭებენ სასუფეველსა.

რ. ბებიაშვილი.

# ს ი მ ლ ე რ ა

(გუძღვნი ვაჟა-ფშაველას)

მთის თხემით გადმოსხლეტილი,  
 ვაჟავ, მეგონე კანჯარი;  
 მომწყურდა დრო სხვა, დიადრ,  
 რომ გმირსა გესხას აბჯარი...  
 ბრძოლის სურვილით აღზნებულს  
 თვალთ ნაპერწკალი გცვაოდეს;  
 მერანი შენი, შენითვე  
 ამაყი, სქექედეს-ხვიოდეს...  
 ხანჯალი აპოიწოდო,  
 ეოლ!—დასწყვილო ბრძოლასა;  
 შენ წინ მტერს ზარი დაეცეს,  
 დაემხოს, დაჰყვეს ძრწოლასა.  
 გული მკერდს გიფართოვებდეს,  
 ველარ იტევდეს ღელვასა;  
 თუ მოგხვდეს მტრისა ნასროლი,  
 ჰგვანდეს ცით ნაკვეთს ელვასა.  
 მაშინ მე, გრძნობა სათუთი,  
 არ შეგიკრავდი კრილობას,—  
 „ვაჟაკის სისხლი იღვრება“!  
 ვამცნობ ღედათა ყრილობას.  
 მშობელმა გიცნოს, გიყვილოს—  
 'მვილთან იბრძოდეს ღელადა.  
 დიდების გვირგვინს სიმღერას,—  
 მაშინდა ვთხზავდეთ მე და ცა.



# ს ი მ ლ ე რ ა

ისეთი მშვენიერი იყო წითელი ვარდი, რომ მაისის დი-  
 ლაც კი მითი ამაყობდა და კეკლუცობდა.  
 ვარდიც ხარობდა, ან კი რა ქონდა მოსაწყენი? მზის  
 სხივები მას ეალერსებოდა და ცის ნამი მის ხავერდისებრ  
 გულსა ჰბანდა.  
 მაგრამ ყველაზე უფრო მას ბულბულის გალობა ატ-  
 კობოდა. შემოჰკრავდა თუ არა ბინდი, მგოსანიც ვარდს  
 მიუჯდებოდა და უმღერდა საამურ ჰანგებს. ბულბულის  
 თვითთულ ხმაში ნეტარება, სიყვარული და ტრფობა ინატე-  
 ბოდა. ყოველი მისი გალობა მზიარული და საღმრთოაწაუ-  
 ლო იყო.  
 მან სხვა ჰანგები როდი იცოდა, იმიტომ რომ მთელ  
 სიცოცხლეში სიყვარულისა და სიამის მეტი არა ენახა-რა.  
 და სტკებოდა ამ ხმით მაისის ვარდი...  
 სიამით ათრობდა ეს საამური ჰანგები და, შესწყვეტდა  
 თუ არა ბულბული მზიარულ სიმღერას, ვარდი დასვენება-  
 საც კი არ აცდიდა:—„კიდევ, ერთხელ კიდევ დამატაქე,  
 ჩემო კარგო“... ბულბულიც ეშხით თვალებს მიბნედავდა,  
 ამაყად კისერს წინ წამოსწვდა და მისი კისკისი და საამო  
 ხმები გათენებამდის არ სწყულებოდა.  
 მთვარე კი, ეშხით დამთვრალი, მუდამ თავს ადგა და-  
 მის დარაჯად და შუქს ჰფენდა მათ. მისთვის ბულბულისა  
 და ვარდის სიყვარული საიდუმლო არ იყო. მასაც საკმაოდ  
 განეცადა ეს გრძნობა... მზის სიყვარული მის გულში ჯე-  
 რაც არ ჩამქრალიყო.

პოეტს სწადა შეეკმნა ისეთი რამ, რომელიც მას  
 საუკუნოებრივ, ხელთუქმნელ ძეგლს აუგებდა.  
 იგი მთელ ღელამიწაზე ვიღოდა და დაუღალავად  
 ეძიებდა თემას ამ ღიად ნაწარმოებისათვის.

## ბაბილინა.

... დაბინდებისას ჩამოჯდა ვარდის ბუჩქთან.  
 მოფრინდა ბულბული, მიუღერსა ვარდს და, ეშხით  
 მთვრალმა, მოჰფინა არე-მარეს საამური ხმები... ხმები, რომ-  
 ლებიც ღაღადებდენ მხოლოდ ნეტარება-ბედნიერებას, პოე-  
 ტის გული მეტად მკრძნობი იყო და მან ვარდისა და ბულ-  
 ბულის სიყვარული უცებ ამოხსნა; გაიგო მათი ტრფიანობა  
 და ალერსი. დილაოდის სტკებოდა იგი ამ სიყვარულის  
 ცქერით...  
 დილით ადრე გიჟვით შევარდა თავის გამოქვამულში,  
 აკინძა მთელი დასჯა ქალაღები, კალამი ხელში აიღო და  
 დასწერა: „ნეტარება სიყვარულისა“.  
 ეს იყო სათაური იმ ღიად ნაწარმოებისა, რომელსაც  
 უნდა უკვდავ ეყო პოეტის სახელი.  
 იგი სწერდა ბულბულისა და ვარდის სიყვარულზე, მათ-  
 ნეტარებაზე.  
 ... მთელ ღამეობით ისმენდა ბულბულის საამო  
 ხმას, ვარდის ალერსს და დღისით-კი მდიდარისა და მშვე-  
 ნიერის ენით, პოეტურის აღფრთოვანებით ხელოვნურად  
 სწერდა ყველა ამაზე. ბულბული კი კვლავ განცხრომაში  
 ატარებდა თავისს დღეებს.  
 ერთ საღამოს ჩვეულებრივად მოფრინდა ბულბული და  
 განცვაფრდა, როს დაინახა ვარდის ბუჩქთან უცხო ფრინ-  
 ველი.  
 — უკაცრავად, თქვენი სახელი? შეეკითხა ბულბული.  
 — შოშია!—იყო პასუხი.  
 — დაო!.. შოშია!.. ჩემო საყვარელო დაიკო, რა  
 მოგსვლია ასეთი? როგორ სულერთიანად გამოცვლილიხარ,  
 მაპატიე—ვერ გიცან... როგორ გამხდარხარ... სახეც დაგ-  
 ნაოკებია, რა რიგად ჩაგღრმავებია თვალები. რაღაც უზო-  
 მო დარდი უნდა გაწვეს გულს, დაია. მე კი ხომ მხელავ  
 ბედნიერი ვარ... მაგრამ ჯერ შენი ამბავი მითხარ. სად  
 იყავ აპდენს ხანს?.. რა ხანია არ გამიგონია შენი ნაწი  
 და საამური ხმა. როგორ ვნატრობდი მის ხელ-ახლა მოსმე-  
 ნას. სთქვი დაიკო, სთქვი, გენაცვალე!..  
 შოშია სღუმდა. უძრავად, თავჩაკიდებული ჩასცქეროდა  
 მიწას და მისი მიმქრალი თვალები უსაზღვრო სევდას გამო-  
 ხატავდნენ.  
 — ერთხელ მაინც გამაგონე შენი გალობა, შენი ხმა, ჩე-  
 მო დაია, სთქვი გეთაყვა... ვარდიც დასტკებდა... რა მად-  
 ლობელი ვიქნებით!  
 შოშია ისევ უძრავად იღვა.  
 — არ შეგიძლიან?... ალბად დაღლილი თუ ხარ... მაშ,  
 ისე მაინც მიამბე, როგორ სცხოვრობდი, სად იყავი?..  
 — სოფლად...—ყრუ და ნელი იყო შოშიას პასუხი.—  
 სოფლად, ბევრ აღამიანის ხელში გამოვიარე, გალიაც  
 ბლომად გამოვიცვალე და...  
 — მერე... მერე რა ნახე? მითხარი, დაია, მითხარი  
 გენაცვალე, როგორია იქ ცხოვრება?..  
 შოშია ისევ სღუმდა. ძნელი იყო მისთვის ყველა ამის  
 მხილება. მძიმე იყო მისი სევდა და არც უნდოდა ვისმეს-  
 თვის გაეზიარებინა იგი.  
 მაგრამ დაუცხრომელი იყო ბულბული.  
 ...  
 შოშიამ მაგრა მიიკრა გულზე ბულბული და ღამის  
 წყვილადში თვალკრემლიანმა მოუთხრო სოფლის ამბავი. აუ-  
 წერა დაწვრილებით აღამიანის ცხოვრება.  
 მისს ბაას მძიმე ამოხრება და მწარე ქშენა სწყეტდა  
 ხანდისხან, იმიტომ რომ მძიმე იყო სევდა მისი.  
 — „კიდევ, სთქვი კიდევ“...—ქვითინებდა ბულბული და  
 მაგრა ეკვროდა შოშიას მთრთოლვარე გულს; და ისიც

მოუთხოვდა: სოფლის უკუღმართობაზე, ადამიანის უსახ-  
ღვრო მონობაზე, მისს მძიმე უღელზე და ყველგან აღ-  
მართულ წამების ჯვარზე.

... „ასეთნაირად იტანჯება ადამის შვილი, ასეთი  
მძიმე სევდა ჩამოწვა სოფლად“...—დაამთავრა მან სიტყვა  
განთიადისას.

დიდხანს, დიდხანს უძრავად და გაშტერებულად იდგა  
ბულბული... მას სწადდა ტირილი, ცრემლთა დენა, მაგრამ  
ვერ შესძლო... უზაროდ იდგა. ასეთი ძლიერია იყო ბულ-  
ბულის სევდა...

... მძიმედ ამოიოხრა...

ვარდი კი ელოდებოდა მისს ალერსს, საამო და გულის  
დამამშვიდებელ ხმებს.

... მაგრამ ბულბული სდუმდა.

პოეტის იქვე ჩამომჯდარიყო, მას ეხლა თავის ნაწარ-  
მოების უკანასკნელი გვერდი აფიქრებდა. იგი გრძობდა,  
რომ ამ ხანებში რალაც უკვდავი და დიადი შექმნა კაცო-  
ბრიობისათვის. აჰა, (დღევანდელი შრომაც და ისიც დაგვირ-  
გვინდება. და მისს სიხარულს დასასრული არ ეძლეოდა.

... ელოდებოდა—ერთხელ კიდევ გაეგონა ბულ-  
ბულის ხმა, ალერსიანი, აღმაფრენი ხმა... გამარჯვებისა და  
ნეტარების ჰიმნი, უნდოდა ყოველივე ეს ერთხელ კიდევ  
უკვდავ ეყო თავის პოეტურ კალმის ქვეშ.

... უცდიდა თმენით.

ბულბული კი, ისევე სდუმდა.

... და შეევედრა ბულბულს ვარდი, რომ ერთხელ  
შაინც, ძველ სიყვარულის გულისათვის, ეგალობა მის ახ-  
ლოს.

... და შეევედრა ბულბულს პოეტი, რომ ერთხელ  
შაინც, კაცობრიობის განძის უკვდავებისათვის დაეტკობა არე-  
შარე თავის საამო ხმით.

არ ეშვებოდნენ...

ბულბულმა თავი ოდნავ ზევით ასწია, ცრემლებით  
აღსავეს თვალები განთიადის ერთ წერტილს მიაშტერა და  
დაიწყო.

... და განცვიფრდა არე-შარე. ყოველი გრძობდა,

რომ ეს ხმა გულის სიღრმეში სწვდებოდა, ეჭვადან უსაზ-  
ღვრო სევდით ავსებდა მთელს ბუნებას და ყველაფერს  
ცრემლი სდიოდა.

ბულბულის ახალი ვალობა-კვნესა იყო ნატკენ გულისა,  
სევდა იყო მუდმივ დევნილისა და ჭანჯულის სულისა, დენა  
იყო ობოლის ცრემლისა.

... კვირობდნენ... რაკი არ ასოდეს არ გაეგონათ ბულ-  
ბულისაგან ამგვარი რამ.

ბულბულმა ორჯერ, სამჯერ ამოიკვნესა კიდევ გულ-  
საკლავად შესწყვიტა ნაღვლით აღსავეს ვალობა და თვალ-  
ცრემლიანმა დახარა თავი.

... ამ დროს მას უფრო ძლიერად შეუყვარდა თავი-  
სი სატრფო, როს დაინახა, რომ ის ცრემლის ნაკადულს მი-  
წად აფრქვევდა.

ასე სტიროდა მისის ვარდი.

პოეტი კი გიჟივით გარბოდა გამოქვაბულისაკენ.

უცებ ხელში აიღო თავისი ნაწარმოები, უგრძობელის  
თვალებით დააშტერდა მის უკანასკნელ სტრიქონს და მძიმე  
ოხვრა აღმოხდა... გულით ნანობდა დაკარგულ შრომას...  
რამდენიმე წუთის შემდეგ, მთელ წიგნის ნაცვლად ორი  
მუქა ფერფლი-ლა სჩნდა გამოქვაბულში.

ასე უღმობელად მოეპყრო მას ცეცხლის ალი...

პოეტმა თავისის ხელით დასწვა „ნეტარება სიყვა-  
რულისა“...

... და მას ხელ-ახლა კლავდა სულიერი წყურვილი  
— შეექმნა უკვდავი რამ.

მსწრაფლ გადაკინდა ქალღმერთის მთელი დასტა და  
მსხვილის ასობით წააწერა.

**„ხევდა ადამიანისა“...**


ეს იყო სათაური იმ დიად ნაწარმოებისა, რომელსაც  
უნდა საუკუნოდ უკვდავ ეყო პოეტის სახელი.

... და იგი სწერდა სოფლიურ უკუღმართობაზე.

სალამოთი იგი კვლავ მიიჩქაროდა ბუჩქისაკენ.

სწყუროდა ბულბულის კვნესის მოსმენა, ცრემლები-  
საგან დართვილული ვარდის ცქერა; ყველა ამაში ასე  
ძლიერად გამოსქვივოდა ადამის შვილის ტანჯვა შოშის  
მიერ ნამხელი უსახღვრო ხევდა ადამიანისა...

აკაკი კაკავა.



ჰველი კასირი. — გულ-კეთილი ვალიკო იწამებდმერთი და ჩემი „ზალოგი“ გამანთავისუფ-  
ლებინე დრამატიულ გამგეობის ტყვეობიდან!  
— ეპ, ძმაო, გულ-კეთილობა რას გააწყობს უფულობასთან!